# PLITONIT განმამტკიცებელი PROFI
# გრუნტ-კონცენტრატი 1:2

PLITONIT Plitonit Deutsche Qualität

პროფესიონალად ყოფნა ადვილია



10 ლ | 3 ლ | 0,9 ლ

✓ზრდის ადჰეზიას მომდევნო საფარებთან

✓ამაგრებს სუსტ და მტვრევად ზედაპირებს

✓აშორებს მტვერს ზედაპირიდან

✓შენახვისას შესაძლებელია გაყინვა

## ღრმა შეღწევადობის გრუნტ-კონცენტრატი სუსტი ზედაპირებისთვის

ინსტრუქციის სხვა ენაზე ჩამოტვირთვა/
Download the manual in another language
kz | az | uz | tj | kg | tm | am | ge | mn

### გამოყენების სფერო
პრაიმერი PLITONIT განმამტკიცებელი PROFI განკუთვნილია სუსტი ზედაპირების მომზადებისთვის შემდგომი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩასატრებლად.
გამოიყენება შიდა და გარე სამუშაოებისთვის.

| შემდგომი შრეების სახეობები | კედლები |
|---|---|
| წებო ფილისა და კერამოგრანიტისთვის | + |
| თაბაშირის, ცემენტის ან პოლიმერულ საფუძველზე დამზადებული ბათქაში / ფითხი | + |
| ცემენტის, თაბაშირის ან კომპლექსურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები | + |
| ეპოქსიდურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები | — |
| საღებავი / შპალერი | — |
| **ზედაპირის სახეობები** | **კედლები** |
| ბეტონი, რკინაბეტონი, უჯრედოვანი ბლოკები, აგური, თაბაშირის, ცემენტის ან პოლიმერულ საფუძველზე დამზადებული ბათქაში / ფითხი, კილო-ქიმის შეერთების მქონე მუყაოს ფილები, ცემენტის, თაბაშირის ან კომპლექსურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები | + |
| თაბაშირ-მუყაოს ფილა, მარქანბოჭკოვანი ფილა, მინამაგნეზიტის ფილა* | — |
| ცემენტ-ბურბუშელის ფილა, OSB, ფანერი* | — |
| სუსტი და მტვრევადი ზედაპირები (ძველი მტვრევადი ბათქაში, ბეტონის ზედაპირები და ნახევრად მშრალი იატაკის მოჭიმვები 10 მპა-ზე ნაკლები კუმშვის სიმტკიცით) | + |

* პრაიმერი PLITONIT-ის განმამტკიცებელი PROFI-ს გამოყენება ამ ტიპის ზედაპირებზე მიზანშეწონილი არ არის. ამ ზედაპირების დასაგრუნტად რეკომენდებულია PLITONIT-ის ღრმა შეღწევადობის პრაიმერის გამოყენება.

### ზედაპირის მომზადება
დაგრუნტვამდე გაწმინდეთ ზედაპირი მტვრისგან, ჭუჭყისა და ცხიმისგან. ძველი და არამყარი საფარის მონაკვეთები გულდასმით უნდა მოშორდეს.

### სამუშაოების ჩატარების წესი

| | |
|---|---|
| 1 | გამოყენებამდე გულდასმით მოურიეთ პრაიმერს |
| 2 | გააზავეთ პრაიმერი "ტექნიკური მახასიათებლების" ცხრილში მითითებული პროპორციით |
| 3 | წაუსვით პრაიმერი ზედაპირს ფუნჯით ან ლილვაკით. ჰორიზონტალური ზედაპირების დაგრუნტვისას დაუშვებელია გუბეების წარმოქმნა. |
| 4 | პრაიმერის წასმიდან 120 წუთის (ან მეტი) შემდეგ შეამოწმეთ ზედაპირის შეწოვადობა, თუ ზედაპირის შეწოვადობა საკმარისია - შეიძლება შემდგომი სამუშაოების გაგრძელება (იხილეთ განყოფილება "როგორ შევამოწმოთ ზედაპირის შეწოვადობა") |

### როგორ შევამოწმოთ ზედაპირის შეწოვადობა

| ჰორიზონტალურ ზედაპირზე | ვერტიკალურ ზედაპირზე |
|---|---|
| ზედაპირის დაგრუნტვიდან 120 წუთის (ან მეტი) შემდეგ დააწვეთეთ ზედაპირის სხვადასხვა ადგილას რამდენიმე წვეთი წყალი | პულვერიზატორით, ფუნჯით ან ღრუბლით უხვად წაუსვით წყალი ზედაპირს, იატაკიდან, დაახლოებით, 1,5 მ სიმაღლეზე |
| თუ ზედაპირმა შეიწოვა წვეთი 20 წუთზე ნაკლებ დროში, საჭიროა პრაიმერის მეორე შრის წასმა | თუ კედელზე ჩამოდინების დროს ზედაპირმა მთლიანად შეიწოვა წყალი, საჭიროა პრაიმერის მეორე შრის წასმა |
| თუ წვეთი არ შეიწოვა 20 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, შეიძლება შემდგომი სამუშაოების გაგრძელება. | თუ წყალი ჩამოედინა და არ შეიწოვა, შეიძლება შემდგომი სამუშაოების გაგრძელება |

### ტექნიკური მახასიათებლები

| | |
|---|---|
| ფერი | ღია ცისფერი |
| კონცენტრაციის ხარისხი | 1:2 |
| გაშრობის დრო | 120 წთ |
| ხარჯი მ2-ზე, მლ (განზავებული პრაიმერის) | 100 - 200 |
| **წყლით განზავების ხარისხი** | **პროპორცია** |
| მოსაპირკეთებელი, სამღებრო სამუშაოებისა და შპალერის გაკვრის წინ | 1:2 |
| თვითსწორებადი იატაკის მოწყობამდე (ზედაპირის გასამაგრებლად) | 1:1 |

### სამუშაოების ჩატარების პირობები
სამუშაოების ჩატარების დროს ჰაერის, ზედაპირისა და გამოყენებისთვის გამზადებული პრაიმერის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ +5°C-ისა. გარე სამუშაოებისას საჭიროა გაშრობამდე დამუშავებული ზედაპირი ატმოსფერული ნალექებისგან დაცვა.

### ყურადღება
სამუშაოების ჩატარების პროცესში რეკომენდებულია პრაიმერის დროდადრო მორევა. გამოყენების შემდეგ მორეცხეთ ხელსაწყო და სათავსოები წყლით. მითითებული მახასიათებლები მოქმედებს გარემოს 20±2°C ტემპერატურისა და ჰაერის 60±10% ფარდობითი ტენიანობის პირობებში. სამუშაოების ჩატარებისას უნდა იხელმძღვანელოთ ზოგადი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციებითა და უსაფრთხოების ტექნიკით მშენებლობაში.

### უსაფრთხოების ზომები
**სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები.**

**მოერიდეთ ნარევის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით და მიმართეთ ექიმს.**

**მოარიდეთ ბავშვებს!**

### შემადგენლობა
წყლის პოლიმერის დისპერსია, მოდიფიცირებული დანამატები.

### ტრანსპორტირება და შენახვა
შეინახეთ მჭიდროდ დახურულ ტარაში -50°C-დან +40°C-მდე ტემპერატურაზე, მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. დაშვებულია 5-მდე გაყინვის ციკლი -50°C-ზე, გალღობის შემდეგ ინარჩუნებს თავის თვისებებს. გაყინვის შემდეგ, გამოყენებამდე, აუცილებელია ოთახის ტემპერატურაზე დაყოვნება სრულ გალღობამდე, ხელოვნური გახურების გარეშე. მწარმოებლის გაუხსნელ ტარაში შენახვის ვადა - 24 თვე დამზადების დღიდან. დამზადების თარიღი იხ. შეფუთვაზე.

### მწარმოებლის გარანტია
მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკური პირობების 20.30.11-222-51552155-2022-ის მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვის პირობებს და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით.